

ჩემი ვიზიტის მთავარი მიზანი იყო, მონაწილეობა მიმეღო საქართველოში ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციის აღდგენის 25 წლის იუბილისადმი მიძღვნილ ღონიერიღებებში, რომელიც გუშინ აღვნიშნეთ. ჩვენ მაღლობა შევწირეთ და ვადიდეთ ღმერთი, ვინაიდან ამ 25 წელიწადში ბევრი რამ გაკეთდა ევანგელიზაციის, სამწყსო და საქველმოქმედო საქმიანობის თვალსაზრისით. და ვფიქრობ, რომ ეს უნივერსიტეტი ერთ-ერთი უმშვენიერესი ნაყოფთაგანია განვლილი 25 წლის მანძილზე. ამას შეიძლება ვუწოდოთ, როგორც იტალიაში ამბობენ, გულსაბნევი. ესაა უმშვენიერესი საქმე, რომელიც წახალისებული უნდა იქნას.

მე გისურვებთ, რომ ეს მარცვალი, რომელიც ამ მიწაში ჩაითესა და უკვე გაიზარდა, ვინაიდან თქვენ მიაღწიეთ გარკვეულ ხარისხს, როგორც სტრუქტურების, ისე პროფესორებისა და სტუდენტების დონეზე, სულ მეტად გაიზარდოს და, სახარებისეული სურათი რომ ავიღოთ, გახდეს დიდი ხე, რომლის ჩრდილშიც ბინას დაიდებენ ცის ფრინველები.

მსურს, მოკლედ გავუსვა ხაზი ორ ასპექტს, რომლებიც, ჩემი აზრით, ფუნდამენტურია: პირველი, ვფიქრობ, რომ ეს უნივერსიტეტი უნდა გახდეს დიალოგის ნამდვილი ლაბორატორია. დიალოგი ვისთან? პირველ რიგში, კულტურასთან, დიალოგი თანამედროვე კულტურასთან. მაგალითად, ჩვენს დასავლურ კულტურაში, რომელიც თანდათან შორდება ქრისტიანულ ფესვებს, განუწყვეტლივ გვესაჭიროება საუბარი მასთან, ვინც თავის ცხოვრებას რწმენასთან აკავშირებს, ვისაც ურთიერთობა აქვს სახარებასთან.

ჩვენ ნათლად უნდა ვაჩვენოთ გამორჩეული აკადემიურ-სამეცნიერო საქმიანობა, რომელიც ძირფესვიანად სწვდება მეცნიერულობის კრიტერიუმებს, რომ რწმენა და გონება არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ისინი არ არიან დაპირისპირებულნი. და მინდა დავასრულო ჩემი სიტყვა პაპ ბენედიქტესა და პაპ ფრანცისკეს სიტყვებით „რწმენა და მეცნიერება არის ორი ფრთა, რომლებიც გვეხმარება ჭეშმარიტების მიღწევაში, აქედან გამომდინარე, დიალოგი რწმენასა და დღევანდელ კულტურას შორის, და დიალოგი, რომელზეც ისაუბრეს აქ გამომსვლელებმა, დიალოგი კათოლიკე და მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის არის ფუნდამენტური რამ.